

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“

2023 წლის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	10
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

თანდართულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც წარმოდგენილია 7-დან 48-ე გვერდის ჩათვლით, პასუხისმგებელია სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის“ (შემდგომში „კომპანია“) ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- გონივრული და წინდახედული მსჯელობების და შეფასებების გაკეთებას;
- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს ფინანსური აღრიცხვისა და შიდა კონტროლის ეფექტური სისტემები;
- აწარმოოს სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერები ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, კომპანიის აქტივების დასაცავად; და
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

5.

პაატა ლომაძე
გენერალური დირექტორი
სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“
304426674

ლევან ზუროშვილი
ფინანსური დირექტორი
სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“

თარიღი: 2 აპრილი 2024 წელი



შპს "KPMG Georgia"
 მე-5 სართული, GMT პლაზა
 მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)
 თბილისი, საქართველო 0105
 IN 404437695
 ტელეფონი +995 322 93 5713
 ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის არაკონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის არაკონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და არაკონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფას სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“-ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტრულ ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

შპს „KPMG Georgia“, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით მუშაობს კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.



ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას, დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.



- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი კომპანია.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებითი შენიშვნებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ირინა გევორგიანი

შპს "KPMG Georgia"
 თბილისი, საქართველო
 2 აპრილი 2024 წელი



სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	31 დეკემბერი 2023 ლარი'000	31 დეკემბერი 2022 (გადაწარმოებული) ლარი'000	1 იანვარი 2022 (გადაწარმოებული) ლარი'000
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	4,349	3,140
არამატერიალური აქტივები	10	2,656	3,190
საინვესტიციო ქონება		986	280
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	11	2,180	1,180
საბანკო ანაზღაურებები	19	41,326	37,264
სასესხო მოთხოვნები	19	3,474	3,165
ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	15	18,614	17,549
სხვა აქტივები	12	7,818	8,428
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	3,975	5,557
სულ აქტივები		85,378	79,753
კაპიტალი	14		
ჩვეულებრივი აქციები		37,972	37,972
სააქციო პრემია		126	126
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		2,572	2,572
გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალები)		6,684	3,160
სულ კაპიტალი		47,354	(1,920)
ვალდებულებები			
დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება	15	11,423	11,405
საინვესტიციო სახელშეკრულებო ვალდებულებები	15	22,333	16,919
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	1,930	2,025
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	17	2,338	4,648
სულ ვალდებულებები	8	-	926
სულ ვალდებულებები		38,024	35,923
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		85,378	79,753
			76,963

შესადარისი ინფორმაცია გადაწარმოებულია სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების გათვალისწინებით მხილეთ შენიშვნა 4

პაატა ლომაძე
გენერალური დირექტორი



ლევან ზუროშვილი
ფინანსური დირექტორი

თარიღი: 2 აპრილი 2024 წელი

11 - 48 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიჯი“ პოლიტიკა
 2023 წლის ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 ლარი'000	2022 (გადაანგარიშებული) ლარი'000
სადაზღვევო მომსახურების ამონაგები	6	171,679	152,790
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	6	(152,883)	(131,614)
გადაზღვევის შედეგი	6	(9,413)	(14,844)
სადაზღვევო მომსახურების შედეგი		9,383	6,332
წმინდა სადაზღვევო და გადაზღვევის ფინანსური ხარჯები	15	(972)	(980)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(5,368)	(4,964)
საპროცენტო შემოსავალი ბანკებში განთავსებული თანხებიდან		5,380	4,482
სხვა შემოსავალი, წმინდა		147	1,134
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		8,570	6,004
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	8	144	(924)
წლის მოგება		8,714	5,080
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		8,714	5,080

შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების გათვალისწინებით. იხილეთ შენიშვნა 4


 შაატა ლომსაძე
 გენერალური დირექტორი
 თარიღი: 2 აპრილი 2024 წელი




 ლევან ზუროშვილი
 ფინანსური დირექტორი

11 - 48 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი პოლიდინგი“
2023 წლის ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შენიშვნა	2023 ლარი'000	2022 (გადაანგარიშებული) ლარი'000
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
წლის მოგება		
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	8,714	5,080
ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი	938	1,205
საპროცენტო შემოსავალი	-	219
საპროცენტო ხარჯი	(5,689)	(4,886)
წმინდა სადაზღვევო და გადაზღვევის ფინანსური შემოსავალი	91	91
მოგების გადასახადის (სარგებელი)/ხარჯი	972	980
	(144)	924
	4,882	3,613
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:		
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების ცვლილება		
დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების ცვლილება	2,735	(8,884)
ცვლილებები სხვა აქტივებში	18	4,881
ცვლილება გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივებში	610	268
ცვლილება საინვესტიციო სახელშეკრულებო ვალდებულებებში	(65)	(2,038)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(186)	(416)
სულ ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში	(2,215)	1,605
გადახდილი მოგების გადასახადი	897	(4,584)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(779)	(1,100)
	5,000	(2,071)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		
სასესხო მოთხოვნების დაფარვა	(1,613)	(2,135)
შვილობილი კომპანიის შეძენა	-	178
საბანკო ანაბრების განთავსება	(1,000)	-
საბანკო ანაბრებიდან გატანილი თანხები	(36,057)	(35,271)
მიღებული პროცენტი	32,536	35,126
(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული)/საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	4,840	3,861
	(1,294)	1,759
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		
გადახდილი დივიდენდები	(98)	(527)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(5,190)	-
	(5,288)	(527)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემცირება		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	(1,582)	(839)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	5,557	6,396
	3,975	5,557

შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებული სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების
გათვალისწინებით. იხილეთ შენიშვნა 4

პაატა ლომაძე ლევან ზუროშვილი
გენერალური დირექტორი ფინანსური დირექტორი



თარიღი: 2 აპრილი 2024 წელი

11 - 48 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიპი პოლიდინგი“
 2023 წლის ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	ჩვეულებრივი აქციები	სააქციო პრემია	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს (ადრე აღრიცხულის შესაბამისად)	37,972	126	2,572	11,565	52,235
კორექტირება ფასს 9-ის თავდაპირველ გამოყენებაზე (შენიშვნა 4)	-	-	-	(325)	(325)
კორექტირება ფასს 17-ის თავდაპირველ გამოყენებაზე (შენიშვნა 4)	-	-	-	(13,160)	(13,160)
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს (გადაანგარიშებული*)	37,972	126	2,572	(1,920)	38,750
მთლიანი სრული შემოსავალი წლის მოგება (გადაანგარიშებული*)	-	-	-	5,080	5,080
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს (გადაანგარიშებული*)	37,972	126	2,572	3,160	43,830
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს მთლიანი სრული შემოსავალი წლის მოგება	37,972	126	2,572	3,160	43,830
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან	-	-	-	8,714	8,714
დივიდენდები	-	-	-	(5,190)	(5,190)
სულ შენატანები და განაწილებები	-	-	-	(5,190)	(5,190)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	37,972	126	2,572	6,684	47,354

*შესაძარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების გათვალისწინებით. იხილეთ შენიშვნა 4

პაატა ლომაძე ლევან ზუროშვილი
 გენერალური დირექტორი ფინანსური დირექტორი
 თარიღი: 2 აპრილი 2024 წელი



11 - 48 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

NOTE 1. ანგარიშვალდებული საწარმო

A. საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე. გლობალური ფაქტორების მიუხედავად, ეკონომიკა გაიზარდა 7%-ით, ხოლო ინფლაციის განაკვეთმა 2023 წლისთვის, შეადგინა 2.5% საქართველოში. რეალური მშპ-ს ზრდა ძირითადად განპირობებულია გაზრდილი ექსპორტით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით და ფულადი გზავნილების დაჩქარებით, რაც დაკავშირებულია რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელორუსიიდან მიგრანტების/ტურისტების შემოდინებასთან (უკრაინაში კონფლიქტის დაწყების შემდეგ).

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

B. ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“ (შემდგომში „კომპანია“ ან „GPIH“) დაარსდა საქართველოში 2001 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, მ.კოსტავას ქ. 67. კომპანია ფლობს საქართველოში სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურებების გაწევის ლიცენზიას. თუმცა, სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“ ბაზარზე ოპერირებს მხოლოდ ჯანმრთელობის, ქონებისა და არასიცოცხლის დაზღვევის სეგმენტში. კომპანია ასევე მართავს პირად საპენსიო ფონდებს საქართველოში.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, ჩვეულებრივი აქციების 90%-ს ფლობს ATBIH GmbH, ხოლო დანარჩენ 10%-ს შპს „სოფტ ინტერნეიშენალ ჯორჯია“.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის, კომპანიის შუალედური მშობელი კომპანია არის „VIENNA INSURANCE GROUP AG Wiener Versicherung Gruppe“, ვენა (შემდგომში „ვენის სადაზღვევო ჯგუფი“). კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „Wiener Stadtische Wechselseitiger Versicherungsverein – Vermögensverwaltung – Vienna Insurance Group“, ვენა.

NOTE 2. აღრიცხვის საფუძველი

A. შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფას სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

აღნიშნული წარმოადგენს კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების პირველ ნაკრებს, რომელშიც გამოყენებულია ფას 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ და ფას 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებები აღწერილია შენიშვნაში 4.

კომპანია არ ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ფას 10-ზე (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება) დაყრდნობით. რადგან ის წარმოადგენს სხვა საწარმოს ნაწილობრივ საკუთრებაში არსებულ შვილობილ კომპანიას და მისი სხვა მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ და წინააღმდეგობა არ გამოუხატავთ იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანია არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას; კომპანიის სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვა არ ხორციელდება საჯარო ბაზარზე; კომპანიას არ წარუდგენია მისი ფინანსური ანგარიშგება ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში და არც ახლა იმყოფება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესში, საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ინსტრუმენტის გამოშვების მიზნებისათვის; კომპანიის შუალედური მშობელი კომპანია - „ვენის სადაზღვევო ჯგუფი“ გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის მიერ აღიარებულ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (ფას სტანდარტები). „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე www.vig.com.

NOTE 3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

NOTE 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებები

კომპანიამ ფას 17 და ფას 9, მათ შორის სხვა სტანდარტების ნებისმიერი თანმდევი ცვლილებები, პირველად 2023 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა. აღნიშნულმა სტანდარტებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებისა და ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვაში. შედეგად, კომპანიამ გადაიანგარიშა გარკვეული შესადარისი ოდენობები და წარმოადგინა ფინანსური მდგომარეობის მესამე ანგარიშგება 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ქვემოთ განსაზღვრული ცვლილებების გარდა, კომპანიამ თანმიმდევრულად გამოიყენა 24-ე შენიშვნაში წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების ძირითადი ცვლილებების ხასიათი და გავლენა, რომლებიც გამოწვეულია ფას 17-ისა და ფას 9-ის მიღებით, შეჯამებულია ქვემოთ.

A. ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები

i. სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარება, შეფასება და წარდგენა

ფასს 17 ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებების და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპებს. ფასს 17-ს შემოაქვს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების შეფასების მოდელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების კომპანიის შეფასებაზე დაყრდნობით, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ხელშეკრულებების დაკმაყოფილებისთანავე, ასევე არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებულ კორექტირებასა და სახელშეკრულებო მომსახურების მარჯაზე დაყრდნობით.

ფასს 17-ის მიხედვით, „სადაზღვევო ამონაგები“ თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში, დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებების ცვლილებებს ასახავს, რომლებიც უკავშირდება მომსახურებას, რომლისთვისაც კომპანია მოელის ანაზღაურების მიღებას და იმ პრემიის განაწილებას, რომელიც დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ანაზღაურებას უკავშირდება. ამასთანავე, საინვესტიციო კომპონენტები აღარ არის შეტანილი სადაზღვევო ამონაგებსა და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებში.

ხელშეკრულებების შეფასების გამარტივებისთვის კომპანია „პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას“ (“PAA”) იყენებს. დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებების შეფასებისას, „პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა“ კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებული აღრიცხვის წინა მეთოდის მსგავსია. თუმცა, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეფასებისას, კომპანია ამჟამად ადისკონტირებს მომავალ ფულად ნაკადებს (გარდა შემთხვევებისა, როდესაც მათი დადგომა მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან უფრო მცირე ვადაში, სადაზღვევო შემთხვევების დადგომის თარიღიდან) და ითვალისწინებს კორექტირებას არაფინანსური რისკის საფუძველზე.

ადრე, ყველა აკვიზიციის ხარჯი აღიარებული და წარდგენილი იყო დაკავშირებული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან მიღებული ცალკე აქტივების სახით („გადავადებული აკვიზიციის ხარჯები“) მანამ, სანამ აღნიშნული ხარჯები არ იქნა შეტანილი ნოვებში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 17-ის მიხედვით, მხოლოდ ის „დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები“, რომლებიც წარმოიშვა დაკავშირებული სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარებამდე უნდა იქნეს აღიარებული ცალკეული აქტივების სახით და ტესტირებული ანაზღაურების შესაძლებლობაზე. აღნიშნული აქტივები წარმოდგენილია დაკავშირებული ხელშეკრულებების პორტფელის საბალანსო ღირებულებაში და მათი აღიარება წყდება მაშინ, როდესაც დაკავშირებული ხელშეკრულებების აღიარება ხდება.

ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები (გადაზღვევის ფინანსური შემოსავლისა და ხარჯების გარდა) ამჟამად წარმოდგენილია ერთიანი წმინდა ოდენობით მოგებაში ან ზარალში. ადრე, გადაზღვევი კომპანიებისგან ანაზღაურებული ოდენობები და გადაზღვევის ხარჯები წარმოდგენილი იყო ცალ-ცალკე.

ახსნა-განმარტებისთვის, თუ როგორ აღრიცხავს კომპანია სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებს ფასს 17-ის მიხედვით, გთხოვთ იხილოთ შენიშვნა 24(E).

ii. გადასვლა

ფასს 17-ის მიღების შედეგად გამოწვეული ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში იქნა გამოყენებული სრული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით (რამდენადაც ეს შესაძლებელია). სრული რეტროსპექტული მიდგომის მიხედვით, 2022 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიამ:

- გამოავლინა, აღიარა და შეაფასა ფლობილი დაზღვევის და გადაზღვევის ხელშეკრულებების თითოეული ჯგუფი, იმგვარად თითქოს ფასს 17 ყოველთვის გამოიყენებოდა;

- შეწყვიტა ადრე აღრიცხული ნაშთების აღიარება, რომლებიც არ იარსებებდა ფასს 17-ის ყოველთვის გამოყენების შემთხვევაში;
- აღიარა ნებისმიერი, შედეგად მიღებული წმინდა სხვაობა კაპიტალში.

B. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ადგენს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური ერთეულების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასების მოთხოვნებს, აღნიშნული სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“-ს.

i. ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ფასს 9 მოიცავს სამ ძირითად კლასიფიკაციის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული. ფასს 9-ის ფარგლებში ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ზოგადად ეფუძნება ბიზნეს მოდელს, რომლის ფარგლებშიც იმართება ფინანსური აქტივი და ასევე მის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ფასს 9 აუქმებს ბასს 39-ის დაფარვის ვადამდე ფლობილის, სესხებისა და მოთხოვნებისა და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს. ფასს 9-ის მიხედვით, იმ ხელშეკრულებებში შეტანილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებშიც ძირითად ელემენტს ფინანსური აქტივი წარმოადგენს, სტანდარტის მოქმედების სფეროში, არასდროს არ განცალკევდება. ამის ნაცვლად, კლასიფიკაციისთვის ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი მის მთლიანობაში.

ფასს 9 უმეტესწილად ინარჩუნებს ბასს 39-ის, ფინანსური ვალდებულებების შეფასებისა და კლასიფიკაციის მოთხოვნებს.

ფასს 9-ს არ ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების აღრიცხვის პოლიტიკაზე.

ii. ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ის „გაწეული ზარალის“ მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ვრცელდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ სახელშეკრულებო აქტივებზე და ინვესტიციებზე სავალო ინსტრუმენტებში, გარდა ინვესტიციებისა წილობრივ ინსტრუმენტებში. ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალები აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ის მიხედვით - იხილეთ შენიშვნა 24(k).

ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის ფარგლებში აქტივებისთვის, ზოგადად მოსალოდნელია, რომ გაუფასურების ზარალები გაიზრდება და გახდება უფრო არასტაბილური. კომპანიამ დაადგინა, რომ ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების გამოყენებამ 2022 წლის 1 იანვრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გავლენა მოახდინა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და მოგების ან ზარალის ანგარიშგებაზე. იხილეთ შენიშვნა 4 C.

iii. გადასვლა

სხვაობები ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში, რომლებიც ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმოიქმნება, აღიარებულია გაუნაწილებელ მოგებასა და რეზერვებში 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

C. გადაანგარიშება

შემდეგი ცხრილი აჯამებს ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გავლენას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2022 წლის 31 დეკემბრისთვის:

'000 ლარი	ფასს 17-ისა და ფასს 9-ის მიღების გავლენა			გადაანგარიშებული
	ადრე აღრიცხვლის შესაბამისად	ფასს 17-ის მიღების გავლენა (შენიშვნა 4 A)	ფასს 9-ის მიღების გავლენა (შენიშვნა 4 B)	
საბანკო ანაზღაურებები	37,668	-	(404)	37,264
ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	-	17,549	-	17,549
გადაზღვევის წილი სადაზღვევო ხელშეკრულებების ანარიცხებში	22,107	(22,107)	-	-
სადაზღვევო მოთხოვნები	54,505	(54,505)	-	-
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	7,688	(7,688)	-	-
სხვა აქტივები	23,407	(14,979)	-	8,428
სულ აქტივები	161,887	(81,730)	(404)	79,753
სადაზღვევო ხელშეკრულების ანარიცხები	81,597	(81,597)	-	-
დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	-	11,405	-	11,405
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება	-	16,919	-	16,919
დაზღვევის და გადაზღვევის ვალდებულებები	9,337	(9,337)	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,154	(5,506)	-	4,648
სულ ვალდებულებები	104,039	(68,116)	-	35,923
გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	17,178	(13,614)	(404)	3,160
სულ კაპიტალი	57,848	(13,614)	(404)	43,830

შემდეგი ცხრილი აჯამებს ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გავლენას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

'000 ლარი	ფასს 17-ისა და ფასს 9-ის მიღების გავლენა			გადაანგარიშებული
	ადრე აღრიცხვლის შესაბამისად	ფასს 17-ის მიღების გავლენა (შენიშვნა 4 A)	ფასს 9-ის მიღების გავლენა (შენიშვნა 4 B)	
საბანკო ანაზღაურებები	36,773	-	(325)	36,448
ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	-	15,359	-	15,359
გადაზღვევის წილი სადაზღვევო ხელშეკრულებების ანარიცხებში	22,120	(22,120)	-	-
სადაზღვევო მოთხოვნები	50,213	(50,213)	-	-
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	6,531	(6,531)	-	-
სხვა აქტივები	18,223	(9,527)	-	8,696
სულ აქტივები	150,320	(73,032)	(325)	76,963
სადაზღვევო ხელშეკრულების ანარიცხები	74,923	(74,923)	-	-
დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	-	6,524	-	6,524
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება	-	24,671	-	24,671
დაზღვევის და გადაზღვევის ვალდებულებები	10,446	(10,446)	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,549	(5,698)	-	3,851
სულ ვალდებულებები	98,085	(59,872)	-	38,213
გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	11,565	(13,160)	(325)	(1,920)
სულ კაპიტალი	52,235	(13,160)	(325)	38,750

შემდეგი ცხრილი აჯამებს ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გავლენას კომპანიის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე 2022 წლის ბოლოსთვის:

'000 ლარი	ფასს 17-ისა და ფასს 9-ის მიღების გავლენა			გადაანგარიშებული
	ადრე აღრიცხვის შესაბამისად	ფასს 17-ის მიღების გავლენა (შენიშვნა 4 A)	ფასს 9-ის მიღების გავლენა (შენიშვნა 4 B)	
სულ მოზიდული პრემია	162,337	(162,337)	-	-
გამოკლებული: გადამზღვევის კუთვნილი მოზიდული პრემიები	(90,603)	90,603	-	-
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის მთლიან ანარიცხებში	(9,547)	9,547	-	-
გადამზღვევის წილის ცვლილება მთლიანი გამოუმუშავებელი პრემიის ანარიცხებში საკომისიო და სხვა შემოსავალი	3,044	(3,044)	-	-
გადაზღვევიდან	16,772	(16,772)	-	-
მთლიანი სადაზღვევო სარგებელი და გადახდილი სადაზღვევო შემთხვევები	(109,374)	109,374	-	-
გადამზღვევის წილი მთლიან სადაზღვევო სარგებელში და გადახდილი სადაზღვევო შემთხვევებში	59,571	(59,571)	-	-
მთლიანი ცვლილება გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევების ანარიცხებში	2,873	(2,873)	-	-
გადამზღვევის წილის ცვლილება გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი სადაზღვევო შემთხვევების ანარიცხებში	(3,056)	3,056	-	-
საინვესტიციო შემოსავალი	1,232	(1,232)	-	-
პირდაპირი აკვიზიციის მოსაკრებლები და საკომისიოები	(5,712)	5,712	-	-
სხვა აკვიზიციის ხარჯები	(18,568)	18,568	-	-
ცვლილება გადავადებულ აკვიზიციის ხარჯებში	1,157	(1,157)	-	-
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	(7,560)	7,560	-	-
სადაზღვევო მომსახურების ამონაგები	-	152,790	-	152,790
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	-	(131,614)	-	(131,614)
გადაზღვევის შედეგი	-	(14,844)	-	(14,884)
წმინდა სადაზღვევო და გადაზღვევის ფინანსური ხარჯები	-	(980)	-	(980)
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(4,964)	-	(4,964)
სხვა შემოსავალი, წმინდა	-	1,189	(55)	1,134
წლის მოგება	6,105	(989)	(55)	5,080

NOTE 5. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს სტანდარტებთან შესაბამისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებიც 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში არსებითი ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ, მოცემულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 19 (E (a)) - ფინანსური რისკები;
- შენიშვნა 15 - სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებები და გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკები და განმარტებები ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მიწისა და შენობა-ნაგებობების (ძირითადი საშუალებების კლასი) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას მოითხოვს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შემდგომში დაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

NOTE 6. სადაზღვევო შედეგი

	2023	2022 გადაანგარიშებული
„პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომის“ მიხედვით შეფასებული ხელშეკრულებებიდან მიღებული სადაზღვევო ამონაგები	171,679	152,790
სადაზღვევო ამონაგები -სულ	171,679	152,790
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები - წმინდა*	(157,836)	(139,092)
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების კორექტირებები	5,205	7,631
რისკის კორექტირება	(252)	(163)
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	(152,883)	(131,614)
წმინდა შემოსავალი სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან	18,796	21,176
„პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომის“ მიხედვით შეფასებული ხელშეკრულებების გადაზღვევის ხარჯი	(77,442)	(70,789)
გადაზღვევებისგან ანაზღაურებადი ოდენობები - წმინდა	68,029	55,945
წმინდა შემოსავალი ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	(9,413)	(14,844)
სადაზღვევო მომსახურების შედეგი	9,383	6,332

* დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები - წმინდა - მოიცავს 119,735 ათასი ლარის ოდენობით დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებს (2022: 107,021 ათასი ლარი), 28,512 ათასი ლარის ოდენობით ამორტიზებულ დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებს (2022: 24,224 ათასი ლარი) და 9,689 ათასი ლარის ოდენობით პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს (2022: 7,847 ათასი ლარი).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩაშლილია ამორტიზებული დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც შედის დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებსა და სხვა პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებში:

	2023 ლარი'000	2022 გადაანგარიშებული ლარი'000
ხელფასები	15,207	15,140
საკომისიო	14,992	10,492
მარკეტინგის და აკვიზიციის ხარჯები	2,986	2,189
სადაზღვევო შემთხვევების დამუშავების ხარჯები	2,102	2,190
IT მხარდაჭერა	620	232
ცვეთა	555	578
სხვა ხარჯები	1,639	1,250
სულ	38,101	32,071

NOTE 7. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023 ლარი'000	2022 გადაანგარიშებული ლარი'000
ხელფასები	1,640	1,699
იჯარა	820	781
პროფესიული მომსახურების საფასური	612	459
ცვეთა	383	627
სოციალური საქმიანობა	335	303
ბანკის საკომისიო	268	190
სხვა ხარჯები	1,310	905
სულ	5,368	4,964

ზემოთ მოცემული სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს აუდიტორული მომსახურების გაწევისთვის დარიცხულ საფასურს 304 ათასი ლარის ოდენობით (2022: 157 ათასი ლარი).

NOTE 8. მოგების გადასახადები

„კომპანიის“ მოქმედ საგადასახადო განაკვეთს წარმოადგენს მოგების გადასახადის 15%-იანი (2022 წელს: 15%) განაკვეთი.

	2023 ლარი'000	2022 გადაანგარიშებული ლარი'000
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	782	820
დროებითი სხვაობების წარმოშობა და აღდგენა	-	104
ცვლილებები აღიარებულ გამოსაქვით დროებით სხვაობებში (საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად)	(926)	-
სულ მოგების გადასახადის (სარგებელი)/ხარჯი	(144)	924

ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

	2023 ლარი'000	2022 გადაანგარიშებული ლარი'000
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე	8,570	6,004
მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთის მიხედვით	1,291	900
ცვლილებები აღიარებულ გამოსაქვით დროებით სხვაობებში (საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად)	(926)	-
წმინდა არა-დაბეგრადი შემოსავალი / (არა-გამოქვითვადი ხარჯები)	(509)	24
სულ	(144)	924

მოძრაობა დროებით სხვაობებში წლის განმავლობაში:

ლარი'000	1 იანვარი 2023	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	31 დეკემბერი 2023
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	(966)	966	-
გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი			
სადაზღვევო შემთხვევების ანარიცხი	(464)	464	-
ძირითადი საშუალებები და			
არამატერიალური აქტივები	(53)	53	-
სხვა აქტივები	349	(349)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	208	(208)	-
	(926)	926	-

ლარი'000	1 იანვარი 2022	აღიარებული მოგებაში ან ზარალში	31 დეკემბერი 2022
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	(841)	(125)	(966)
გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი			
სადაზღვევო შემთხვევების ანარიცხი	(443)	(21)	(464)
ძირითადი საშუალებები და			
არამატერიალური აქტივები	(53)	-	(53)
სხვა აქტივები	-	349	349
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	515	(307)	208
	(822)	(104)	(926)

924 ათასი ლარის ოდენობით ადრე აღიარებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღდგენა განპირობებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2019 წლის 1 იანვრიდან.

2018 წლის 28 დეკემბერს, კანონში კვლავ შევიდა ცვლილებები. საფინანსო დაწესებულებებისთვის კანონი ახალ საგადასახადო სისტემაზე გადასვლის შესახებ ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან, 2019 წლის 1 იანვრის ნაცვლად. 2022 წლის 16 დეკემბერს, კანონში კვლავ შევიდა ცვლილებები. საფინანსო დაწესებულებებისთვის კანონი ახალ საგადასახადო სისტემაზე გადასვლის შესახებ ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან, 2023 წლის 1 იანვრის ნაცვლად.

ზემოაღნიშნული ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, 2024 წლის 1 იანვრის შემდგომ, საქართველოში რეგისტრირებულ საფინანსო დაწესებულებებს არ აქვთ განსხვავებები აქტივების საგადასახადო საფუძვლებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შედეგად არ ყოფილა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის აღიარებული თანხები იქნა ჩამოწერილი.

NOTE 9. ძირითადი საშუალებები

ლარი '000	კომპიუტერები და		სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ავეჯი და აღჭურვილობა	აქტივები გამოყენების უფლებით	სულ
	მიწა და შენობა-ნაგებობები	დაკავშირებული აღჭურვილობა				
თვითღირებულება						
2023 წლის 1 იანვარს შესყიდვები	2,235	1,945	180	358	873	5,591
გასვლები / ჩამოწერები	38	1,215	-	62	298	1,613
31 დეკემბერი 2023	2,273	3,113	136	420	1,171	7,113
დაგროვილი ცვეთა						
2023 წლის 1 იანვარს დარიცხვა წლის განმავლობაში	153	1,329	87	354	528	2,451
გასვლები / ჩამოწერები	51	227	14	54	58	404
31 დეკემბერი 2023	204	1,509	57	408	586	2,764
წმინდა საბალანსო ღირებულება	2,069	1,604	79	12	585	4,349
თვითღირებულება						
2022 წლის 1 იანვარს შესყიდვები	3,031	1,702	127	320	1,316	6,496
გასვლები / ჩამოწერები	-	249	97	38	270	654
31 დეკემბერი 2022	(796)	(6)	(44)	-	(713)	(1,559)
2,235	1,945	180	358	873	5,591	
დაგროვილი ცვეთა						
2022 წლის 1 იანვარს დარიცხვა წლის განმავლობაში	133	1,114	99	299	968	2,613
გასვლები / ჩამოწერები	51	221	23	55	273	623
31 დეკემბერი 2022	(31)	(6)	(35)	-	(713)	(785)
153	1,329	87	354	528	2,451	
წმინდა საბალანსო ღირებულება	2,082	616	93	4	345	3,140

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, მიწა და შენობები დამოუკიდებელმა შემფასებელმა გადააფასა. მთლიანი გადაფასების რეზერვი 2,572 ათას ლარს შეადგენდა. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მსგავსი ქონების (მსგავსი ადგილმდებარეობის მქონე და მსგავს ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი) გამოცხადებულ მოთხოვნის ფასებზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები უკავშირდება სხვაობებს მიწის მახასიათებლებში, როგორც არის, ზომა, ადგილმდებარეობა, წვდომა ქონებაზე და მოლაპარაკებების გზით მიღწეული ფასდაკლება, რომლისთვისაც შემფასებელმა გამოიყენა 5% დან 15%-მდე კორექტირებები დაკვირვებად მოთხოვნილ ფასებზე. ერთი კვადრატული მეტრის ფასი განსაზღვრულია 1,100 აშშ დოლარიდან 1,400 აშშ დოლარამდე. ერთი კვადრატული მეტრის ფასის 10%-იანი ზრდის შემთხვევაში მიწის და შენობების სამართლიანი ღირებულება 296 ათასი ლარით გაიზრდება.

სამართლიანი ღირებულება მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეს, გამოყენებული შეფასების ტექნიკის ემპირიული ამოსავალი მონაცემების მნიშვნელოვანი არაემპირიული კორექტირებების გამო.

ხელმძღვანელობა რეგულარულად ამოწმებს მნიშვნელოვან არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს და შეფასების ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ჩატარებული მსგავსი შემოწმების შედეგად, ბაზარზე არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები, რომლებიც არსებითად შეცვლიდა მიწისა და შენობების სამართლიან ღირებულებას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

2022 წლის 31 დეკემბერს მიწისა და შენობების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 358 ათას ლარს (2022 წელს: 320 ათასი ლარი), რომ არ მომხდარიყო გადაფასება.

NOTE 10. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	სადაზღვევო პროგრამული		სხვა	სულ
	ლიცენზიები	უზრუნველყოფა	პროგრამული უზრუნველყოფა	
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	898	978	2,425	4,301
შესყიდვები	-	-	1,725	1,725
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	898	978	4,150	6,026
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	898	978	4,150	6,026
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	898	978	4,150	6,026
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	(831)	(705)	(918)	(2,454)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(12)	(134)	(236)	(382)
2022 წლის 31 დეკემბერს	(843)	(839)	(1,154)	(2,836)
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	(843)	(839)	(1,154)	(2,836)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(39)	(89)	(406)	(534)
2023 წლის 31 დეკემბერს	(882)	(928)	(1,560)	(3,370)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2022 წლის 1 იანვარს	67	273	1,507	1,847
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბერს	55	139	2,996	3,190
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბერს	16	50	2,590	2,656

NOTE 11. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

საქმიანობა	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022		
	საქმიანობა	ლარი'000	საკუთრება %	ლარი'000	საკუთრება %
სამედიცინო კონცერნი სს კურაციო	სამედიცინო მომსახურება	680	100	680	100
სს "Global Assistance Georgia"	საავტომობილო მომსახურება	1,500	50	500	50
		2,180		1,180	

სამედიცინო კონცერნის, სს "კურაციოს" და სს "Global Assistance Georgia"-ს რეგისტრაციის და ძირითადი საქმიანობის ქვეყანა არის საქართველო.

2023 წლის განმავლობაში, 1,000 ათასი ლარი შეტანილ იქნა სს "Global Assistance Georgia"-ს სააქციო კაპიტალში.

NOTE 12. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2022 ლარი'000	31 დეკემბერი 2022, გადაანგარიშებული ლარი'000	1 იანვარი 2022, გადაანგარიშებული ლარი'000
მოთხოვნა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	2,801	2,814	3,226
შვილობილი კომპანიებისთვის და სხვა კონტრაქტებისთვის გადახდილი სხვა ავანსები	2,369	3,236	3,028
ამორტიზებული ღირებულებით ფლობილი შემენილი ობლიგაციები	1,618	1,626	1,864
შვილობილი კომპანიებისთვის და სხვა კონტრაქტებისთვის სამედიცინო მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები სხვა	225 805	197 555	193 385
	7,818	8,428	8,696

NOTE 13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023 ლარი'000	31 დეკემბერი 2022 ლარი'000
ფულადი სახსრები ბანკში	3,975	5,557
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ინდივიდუალურ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	3,975	5,557

NOTE 14. ჩვეულებრივი აქციები

კომპანიის ავტორიზებული და გადახდილი სააქციო კაპიტალი წარმოდგენილია ქვემოთ.
 თითოეული აქცია მესაკუთრეს აძლევს ერთი ხმის უფლებას კომპანიის აქციონერთა კრებებზე.

ავტორიზებული,
 გამოშვებული და
 გადახდილი კაპიტალი

	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
	აქციების რაოდენობა	ნომინალური ღირებულება '000 ლარი	აქციების რაოდენობა	ნომინალური ღირებულება '000 ლარი
ჩვეულებრივი აქციები	1,500	25.31	1,500	25.31

ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული
 დივიდენდები.

2023 წლის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცხადა მის აქციონერებზე 5,190 ათასი ლარის
 ოდენობით დივიდენდები, რაც იქნა გადახდილი 2023 წლის განმავლობაში. დივიდენდი თითო
 აქციაზე 3,46 ლარს შეადგენდა.

2022 წლის განმავლობაში კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდები.

NOTE 15. სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები და ვალდებულებები

A. მოძრაობა სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებში

	31 დეკემბერი 2023			31 დეკემბერი 2022		
	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება			დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებები		
	დარბინი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	დარბინი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებები	სულ	დარბინი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებები	დარბინი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებები	სულ
სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებები 1 იანვარს	11,405 (171,679)	4,805	28,324 (171,679)	1,904 (152,790)	12,720	26,575 (152,790)
სადაზღვევო ამონაგები	-	489,936	158,088	-	126,334	139,255
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები:	-	-	-	-	-	-
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები -	-	149,936	158,088	-	126,334	139,255
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებების კორექტირებები	-	2,168	(5,205)	-	4,310	(7,641)
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	-	152,104	152,883	-	130,644	131,614
ფინანსური ხარჯები სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან	-	(7,373)	(779)	-	4,310	(11,951)
მილიანი ცვლილებები მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში	-	(605)	(1,132)	-	(1,165)	(807)
ფულადი ნაკადები	(171,679)	151,499	(19,928)	(152,790)	129,479	163
მოგებულ პრემიებს გამოკლებული აკვიზიციის ხარჯები	171,697	-	171,697	162,291	-	162,291
სადაზღვევო შემთხვევები და სხვა პირდაპირ დაკავშირებული გადახდის ხარჯები	-	(146,337)	(146,337)	-	(137,394)	(137,394)
სულ ფულადი სახსრების შემოდინება/(გადაინება)	171,697	(146,337)	25,360	162,291	(137,394)	24,897
სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებები 31 დეკემბერს	11,423	9,967	33,756	11,405	4,805	28,324
		12,366	33,756	11,405	4,805	28,324

B. მოძრაობა გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივებში

	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022, გადაანგარიშებული დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან	
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივი	მომავალი წაკადების მიზნად აღიარებული შემოსავლები	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივი	მომავალი წაკადების მიზნად აღიარებული შემოსავლები
	სულ	საფუძველზე	სულ	საფუძველზე
გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები:1 იანვარს	(9,272)	(7,371)	(17,549)	(12,050)
გადაზღვევის ხარჯები			(3,027)	(282)
გადაზღვევის პრემიების განაწილება	77,442	-	77,442	-
გადაზღვევის წილი დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებში	-	(66,449)	-	-
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი აქტივების კორექტირებები	-	(1,586)	-	(54,507)
წმინდა ხარჯები გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	77,442	(68,035)	9,413	(55,321)
წმინდა ფინანსური ხარჯები გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	-	160	-	992
მილიანი ცვლილებები მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში	77,442	(67,875)	9,573	(54,329)
ფულადი წაკადები			70,789	(624)
გადახდილი პრემიები, საკომისიო შემოსავლის გამოკლებით	(73,674)	-	(73,674)	-
ანაზღაურებული სადაზღვევო შემთხვევები	-	63,036	-	59,008
სულ ფულადი სახსრების შემოინება(გადინება)	(73,674)	63,036	(10,638)	59,008
ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები 31 დეკემბერს	(5,504)	(12,210)	(18,614)	(9,272)
		(900)	(18,614)	(906)
			(7,371)	(17,549)

C. სადაზღვევო შემთხვევების დინამიკა - ბრუტო

კუმულაციური სადაზღვევო შემთხვევების შეფასება	2018 წელს და წინა წლებში	2019	2020	2021	2022	2023	სულ
	შემთხვევის წელი	78,100	66,939	86,714	100,317	110,010	125,196
ერთი წლის შემდეგ	76,802	65,482	82,343	95,939	108,536	-	429,102
ორი წლის შემდეგ	76,792	65,490	82,802	95,442	-	-	320,526
სამი წლის შემდეგ	76,789	66,069	82,778	-	-	-	225,636
ოთხი წლის შემდეგ	76,800	66,065	-	-	-	-	142,865
ხუთი წლის შემდეგ	78,680	-	-	-	-	-	78,680
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევების მიმდინარე შეფასება	78,680	66,065	82,778	95,442	108,536	125,196	556,697
კუმულაციური გადახდები დღემდე	74,347	66,065	82,226	95,093	106,946	111,994	536,671
ბოლიანი გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელ სადაზღვევო შემთხვევები	4,333	-	552	349	1,590	13,202	20,026
რეგრესიდან მიღებული ფულადი ნაკადების შემოდინება							(8,927)
დისკონტირების გავლენა კორექტირება არა- ფინანსური რისკის საფუძველზე							(1,132)
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება							12,366
							22,333

D. მნიშვნელოვანი მსჯელობები და შეფასებები

1) გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები

გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს:

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებებს;
- დისკონტირების განაკვეთის კორექტირებას, რომელიც ასახავს ფულის დროით ღირებულებას და მომავალ ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ ფინანსურ რისკებს, თუ ეს ფინანსური რისკები გათვალისწინებული არ არის მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებებში; და
- კორექტირებას არაფინანსური რისკის საფუძველზე.

მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები

მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს (მიუკერძოებლად), ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც ხელშისაწვდომია საანგარიშგებო თარიღისთვის მიუღებელი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. კომპანია იყენებს გადახდილი სადაზღვევო შემთხვევების „chain ladder“ მოდელს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისთვის სავარაუდო ფულადი ნაკადების მისაღებად. პირდაპირ დაკავშირებული ფულადი ნაკადები მოიცავს პოლისების მფლობელებისთვის (ან მათი სახელით) განხორციელებულ გადახდებს, დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებს და სხვა ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ხელშეკრულებების დაკმაყოფილებისას.

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები წარმოიშვება იმ ხელშეკრულებების ჯგუფის გაყიდვის, ანდერაიტინგის და დაწყების საქმიანობებიდან, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულებების პორტფელს. სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია ხელშეკრულებების შესრულებისას, მოიცავს სადაზღვევო შემთხვევების განხილვას, მართვას, ადმინისტრაციულ ხარჯებს.

ii) დისკონტირების განაკვეთი

კომპანიას დადგენილი აქვს დისკონტირების შემოსავლიანობის მრუდები ურისკო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც კორექტირებულია შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისი არა-ლიკვიდურობის მახასიათებლების ასახვის მიზნით. დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებისთვის ვალდებულებების შეფასება მოიცავს დისკონტირების კორექტირებას, ფულის დროითი ღირებულების ასახვის მიზნით. დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების შეფასება არ მოიცავს კორექტირებას ფულის დროითი ღირებულების ასახვისა და ფინანსური რისკის გავლენისთვის, რადგან პრემიის დაფარვის თარიღი და მომსახურების შესაბამისი პერიოდი 12 თვეზე ნაკლებით არის დაშორებული ერთმანეთისგან.

iii) კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე

კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე განსაზღვრულია იმ ანაზღაურების გათვალისწინებით, რომელიც დასჭირდებოდა ინდივიდუალურ ემიტენტ საწარმოს არაფინანსური რისკის გაწვევისთვის. კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე ასახავს საწარმოს მიერ გაცემული ხელშეკრულებების დივერსიფიკაციიდან მიღებულ სარგებელს, იმგვარად, რომ აღნიშნული შეესაბამება იმ ანაზღაურებას, რომელსაც ის მოითხოვდა და რომელიც ასახავს რისკის იმ დონეს, რომელიც საწარმომ არ აიღო თავის თავზე. დივერსიფიკაციიდან მიღებული სარგებლის გავლენა განისაზღვრება კორელაციის მატრიცის ტექნიკის გამოყენებით.

კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე განისაზღვრება სტრესის სცენარის გამოთვლით, რომელიც გამოიყენება საბაზისო სცენარის მეთოდოლოგიებზე, რომლებიც გამოიყენება „გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების“ და არამოდელური რისკის კორექტირების განსაზღვრად.

სტრესული სცენარის ვარიანტის მეთოდოლოგია დაფუძნებულია „chain ladder“ მოდელზე, რომელიც იყენებს მხოლოდ ისტორიული დინამიკის ფაქტორებს, მაგრამ ასევე დინამიკის ფაქტორის მრუდების შეფასებას რამდენიმე სცენარისთვის. ხელმძღვანელობის შეფასებით უკანასკნელმა უარყოფითმა მოვლენებმა (კოვიდ-19, რუსეთ-უკრაინის ომი) შეცვალა მომხმარებლის ქცევა და ისტორიული დინამიკის ფაქტორები შეიძლება აღარ იყოს სასარგებლო. ხელმძღვანელობამ გამოიყენა სცენარების ანალიზი ალტერნატიული მეთოდოლოგიისთვის და რისკის კორექტირების გამოსათვლელად.

არამოდელური რისკის კორექტირება განისაზღვრა გეოპოლიტიკური რისკის პრემიის კორექტირების საქართველოს საწარმოების კაპიტალის ღირებულებაზე დამატებით. არამოდელური რისკის კორექტირებამ შეადგინა 20% (2022: 20%) და გამოყენებულ იქნა მთლიან „გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე“ რომლებიც გამოთვლილია ალტერნატიული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ფასს 17-ის მიღების შემდეგ, „კორექტირებები არაფინანსური რისკის საფუძველზე“ გამოყენებული იქნა თანმიმდევრულად. და მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წარმოდგენილია ბალანსში იგი არ ყოფილა რეალიზებული 2023 და 2022 წლების განმავლობაში.

ფასს 17-ის მიღების შემდეგ, ხელმძღვანელობა აღიარებს „კორექტირებას არაფინანსური რისკის საფუძველზე“ თანმიმდევრული შეფასებების გამოყენებით. რისკის კორექტირებასთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებები იყო თანმიმდევრული 2023, 2022 და 2021 წლებში და რისკის კორექტირების უმეტესი ნაწილი არ ყოფილა რეალიზებული. 2023 და 2022 წლების წლიურ მოგებაზე ან ზარალზე პირდაპირი არსებითი გავლენა არ ყოფილა.

NOTE 16. საინვესტიციო სახელშეკრულებო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
რეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა		
- ნებაყოფლობით ფონდებში	12,861	12,861
სულ მმართველობის ქვეშ არსებული აქტივები (ლარი'000)	<u>1,930</u>	<u>2,025</u>

მონაწილეებს უფლება აქვთ გამოითხოვონ მათი ინვესტიციები მოთხოვნისთანავე. მონაწილეები შემოსავალს იღებენ კომპანიის ვადიანი ანაბრების საშუალო ამონაგების მიხედვით.

NOTE 17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023 ლარი'000	31 დეკემბერი 2022 გადაანგარიშებული ლარი'000
დასაქმებულთა ვალდებულებები	850	2,847
საიჯარო ვალდებულებები	541	460
სხვა ვალდებულებები	947	1,341
	<u>2,338</u>	<u>4,648</u>

NOTE 18. სადაზღვევო რისკის მართვა

A. რისკის მართვის მიზნები და სადაზღვევო რისკის შემსუბუქების პოლიტიკები

კომპანიის მიერ განხორციელებული ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა უკავშირდება ზარალების რისკის აღებას, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ფიზიკური პირებისგან ან ორგანიზაციებისგან, რომლებიც პირდაპირ ექვემდებარებიან რისკს. ასეთი რისკები უკავშირდება ქონებას, ვალდებულების შესრულებას, უბედურ შემთხვევას, სამედიცინო შემთხვევებს, ტვირთს ან სხვა საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სადაზღვევო შემთხვევისგან. ამრიგად „კომპანია“ დგას გაურკვეველობის წინაშე სადაზღვევო კონტრაქტებიდან გამომდინარე ზარალების ვადების და სიმძიმის მიხედვით. ძირითადი რისკი არის ზარალების ისეთი სიხშირე და სიმძიმე, რომელიც აღემატება მოსალოდნელს. სადაზღვევო შემთხვევები თვისობრივად არის შემთხვევითი და ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში შემთხვევების რეალური რიცხვი და ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს დადგენილი სტატისტიკური საშუალებებით შეფასებული რიცხვისა და ზომისგან.

არა-სიცოცხლის სადაზღვევო პოლისებიდან გამომდინარე რისკი, როგორც წესი, მოიცავს თორმეტვიან პერიოდს. სტანდარტული სადაზღვევო კონტრაქტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშვება ცვლილებებიდან შესაბამის საკანონმდებლო გარემოში, დაზღვეულის ქვევის ცვლილებებიდან, ბუნებრივი კატაკლიზმებიდან და ტერორისტული აქტებიდან. ჯანმრთელობის დაზღვევის კონტრაქტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშვება ეპიდემიებიდან, ბუნებრივი კატაკლიზმებიდან და ჯანდაცვის ხარჯების ზრდიდან.

სადაზღვევო საქმიანობიდან გამომდინარე, „კომპანია“ ასევე დგას საბაზრო რისკის წინაშე. „კომპანია“ სადაზღვევო რისკებს მართავს დადგენილი სტატისტიკური საშუალებების გამოყენებით, რისკების კონცენტრაციის გადაზღვევით, ანდერაიტინგის ლიმიტებით, ტრანზაქციების ავტორიზაციის პროცედურებით, ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო პრინციპებითა და მიმდინარე საკითხების მონიტორინგით.

(i) ანდერაიტინგული სტრატეგია

კომპანიის ანდერაიტინგული სტრატეგიის მიზანია დივერსიფიკაცია, იმგვარად, რომ პორტფელი ნებისმიერ დროს, მოიცავდეს არა-კორელირებული რისკების რამდენიმე კლასს და რომ რისკის თითოეული კლასი, თავის მხრივ, განაწილებული იყოს პოლისების დიდ რაოდენობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ აღნიშნული მიდგომა შედეგის ცვალებადობას ამცირებს.

სტრატეგია ხორციელდება ანდერაიტინგის სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრავენ ანდერაიტინგის დეტალურ წესებს თითოეული პროდუქტის სახეობისთვის. სახელმძღვანელო მითითებები შეიცავენ სადაზღვევო ცნებებს და პროცედურებს, თანდაყოლილი რისკის აღწერებს, ვადებს და პირობებს, უფლებებს და ვალდებულებებს, დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ხელშეკრულების შაბლონებს და პოლისების ნიმუშებს, გამოყენებული ტარიფების განმარტებებს და სხვა ფაქტორებს, რომლებიც იმოქმედებენ შესაბამის ტარიფებზე. ტარიფების გამოთვლა ეფუძნება ალბათობას და ცვალებადობას.

ანდერაიტინგული სახელმძღვანელო მითითებების მოთხოვნების შესრულებას ზედამხედველობას უწევს ხელმძღვანელობა უწყვეტ რეჟიმში.

სხვადასხვა პოლიტიკები და პროცესები, როგორცაა ყველა ახალი და მიმდინარე სადაზღვევო შემთხვევების შეფასება, სადაზღვევო შემთხვევების მართვის პროცედურების რეგულარული დეტალური განხილვა და შესაძლო თაღლითური სადაზღვევო შემთხვევების გამოძიება, ხორციელდება სადაზღვევო შემთხვევების შემცირების მიზნით. შესაბამისობის შემთხვევაში, „კომპანია“ ახორციელებს სადაზღვევო შემთხვევების მიზეზების და ტენდენციების გამოკვლევებს იმ მიზნით, რომ შეამციროს შესაძლო მოულოდნელი მომავალი მოვლენების განვითარების უარყოფითი გავლენა „კომპანიაზე“.

(ii) გადაზღვევის სტრატეგია

სადაზღვევო რისკის შემცირების მიზნით, კომპანია იყენებს მისი რისკების გადაზღვევის პროგრამას. გადაცემული გადაზღვევის ბიზნესის უმეტესი ნაწილი განთავსებულია პროპორციულ და „წილის კვოტის/ჭარბი ზარალის“ საფუძველზე, პროდუქტების ხაზების მიხედვით სხვადასხვა „შენახვის ლიმიტებით“ (ბიზნესის ყველა მიმართულებაში მნიშვნელოვანი რისკებისთვის, კომპანია არეგისტრირებს ოპერაციებს მხოლოდ ნებაყოფლობითი დაფარვით, არსებითი „შენახვის ლიმიტების“ გარეშე).

გადაზღვევიდან ანაზღაურებადი თანხების შეფასება შეესაბამება დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ძირითადი ვალდებულებების დასადგენად გამოყენებულ დაშვებებს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას აქვს გადაზღვევის შეთანხმებები, ის არ არის გათავისუფლებული მისი პირდაპირი ვალდებულებებისგან პოლისების მფლობელების მიმართ და შესაბამისად, არსებობს გადაზღვევასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი, თუ ნებისმიერი გადამზღვეველი ვერ შეძლებს მისი ვალდებულებების დაკმაყოფილებას მსგავსი გადაზღვევის ხელშეკრულებების ფარგლებში. გადაზღვევა განთავსებულია მაღალი რეიტინგის მქონე კონტრაქტებთან, ხოლო რისკის კონცენტრაციის თავიდან არის არიდებული კონტრაქტების ლიმიტებთან დაკავშირებით პოლიტიკის სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებით, რომლებიც განისაზღვრება ყოველ წელს და რეგულარულად მიმოიხილება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხელმძღვანელობა ახორციელებს გადამზღვეველთა კრედიტუნარიანობის შეფასებას გადაზღვევის შეძენის სტრატეგიის განსაახლებლად და გადაზღვევის აქტივების გაუფასურებისთვის შესაბამისი რეზერვის დასადგენად.

B. სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია

კომპანიის წინაშე არსებული სადაზღვევო რისკის ძირითადი ასპექტია სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის დონე, რომელიც შეიძლება არსებობდეს, როდესაც კონკრეტულ მოვლენას, ან მოვლენათა ნაკრებს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ვალდებულებებზე. მსგავსი კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას ერთ სადაზღვევო კონტრაქტზე ან მსგავსი რისკის მახასიათებლების მქონე, დაკავშირებულ კონტრაქტებზე და დაკავშირებული იყოს ისეთ გარემოებებთან სადაც შესაძლებელია წარმოიშვას მნიშვნელოვანი ვალდებულებები. სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ რისკი შეიძლება წარმოიშვას აკუმულირებული რისკებისგან, მთელ რიგ ინდივიდუალურ სახეობებში ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტრანშებში. რისკების კონცენტრაციის შესამცირებლად, კომპანიას აქვს სადაზღვევო ხელშეკრულებები ბიზნეს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებისთვის.

	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება ლარი'000	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება ლარი'000	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება ლარი'000	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება ლარი'000
სამედიცინო	(5,163)	12,907	(3,657)	13,188
ქონებრივი	2,479	3,910	2,244	1,996
საავტომობილო	937	4,254	1,055	2,217
ობლიგაციები	7,429	(6,294)	5,496	(5,772)
ვალდებულებები	4,450	4,308	4,874	3,123
საკრედიტო დაზღვევა	951	1,416	1,138	1,406
სხვა	340	1,832	255	761
	11,423	22,333	11,405	16,919

აღნიშნული რისკის მართვის კომპანიის ძირითადი მეთოდები ორგანოა. პირველ რიგში, რისკი იმართება შესაბამისი ანდერაიტინგის მეშვეობით. ანდერაიტერებს არ აქვთ უფლება განახორციელონ რისკების ანდერაიტინგი, თუ მოსალოდნელი მოგება არ შეესაბამება ნაკისრ რისკებს. მეორეც, რისკის მართვა ხდება გადაზღვევის გამოყენებით. კომპანია ყიდულობს გადაზღვევის დაფარვას თავისი საქმიანობის სხვადასხვა კლასებისთვის. კომპანია მუდმივად აფასებს გადაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სარგებელს.

NOTE 19. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვა

A. სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების უმეტესობის მოკლე ვადიანობის გამო.

B. მმართველობითი სტრუქტურა

კომპანიის რისკების და ფინანსური მართვის სისტემის მთავარ მიზანს წარმოადგენს კომპანიის აქციონერთა დაცვა ისეთი შემთხვევებისგან, რომლებიც ხელს უშლიან ფინანსური საქმიანობის მიზნების მდგრად მიღწევას, ხელსაყრელი შესაძლებლობების გამოუყენებლობის ჩათვლით. ხელმძღვანელობა აცნობიერებს ეფექტური და პროდუქტიული რისკების მართვის სისტემის არსებობის მნიშვნელობას კომპანიაში.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის ზედამხედველობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე პასუხისმგებელია ძირითადი რისკების მართვაზე, რისკების მართვის სისტემის შემუშავებასა და დანერგვაზე და მკონტროლებელ პროცედურებზე, ისევე როგორც დიდი დაქვემდებარებების დადასტურებაზე.

რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, ბაზრის პირობებში და კომპანიის საქმიანობებში განხორციელებული ცვლილებების ასახვის მიზნით.

C. მარეგულირებელი სტრუქტურა

მარეგულირებლების უპირატეს ინტერესს წარმოადგენს დაზღვეულთა უფლებების დაცვა. ამავე დროს, მარეგულირებლები ცდილობენ უზრუნველყონ კომპანიის მიერ სათანადო გადახდისუნარიანობა ბუნებრივი კატასტროფების ეკონომიკური შოკებიდან გამომდინარე გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. რეგულაციები არა მხოლოდ განსაზღვრავენ საქმიანობების დამტკიცებასა და მონიტორინგს, არამედ ასევე ადგენენ კონკრეტულ შეზღუდვებს (მაგ. კაპიტალის ადეკვატურობა) სადაზღვევო კომპანიებთან მიმართებაში გადაუხდელობისა და გადახდისუნარიანობის რისკების შემცირების მიზნით, გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი წარმოშობისთანავე.

D. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის (ALM) სტრუქტურა

ფინანსური რისკები წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთის, ვალუტების ან კაპიტალის პროდუქტის ღია პოზიციიდან, რადგან თითოეული მათგანი ექვემდებარება ბაზრის ზოგად და სპეციფიურ მოძრაობებს. მთავარი რისკები, რომლებიც კომპანიის წინაშე დგას, მისი ინვესტიციების და ვალდებულებების ხასიათიდან გამომდინარე, არის სავალუტო, საკრედიტო, საპროცენტო განაკვეთის და სადაზღვევო რისკები. კომპანიის ALM-ის მთავარი ტექნიკა მდგომარეობს სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი აქტივების და ვალდებულებების შესაბამეობაში, კონტრაქტის მონაწილეთათვის გადასახდელი სარგებლის სახეობების საფუძველზე. კომპანიის ALM-ი ასევე წარმოადგენს სადაზღვევო რისკის მართვის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნებისმიერ პერიოდში შესაძლებელი იყოს საკმარისი ფულადი ნაკადების მობილიზება, სადაზღვევო კონტრაქტიდან წარმოქმნილი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

E. ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებისას კომპანიისთვის ყველაზე დიდ რისკს წარმოადგენს საბაზრო რისკი (საპროცენტო განაკვეთები და სავალუტო რისკი), საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

(a) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს.

წმინდა დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მაქსიმალური დამოკიდებულება საკრედიტო რისკზე ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შემადგენელი კომპონენტებისთვის:

	31 დეკემბერი 2023 ლარი'000	31 დეკემბერი 2022 ლარი'000
დაბალი რისკი		
საბანკო ანაზრები		
ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	41,326	37,264
სასესხო მოთხოვნები	18,614	17,549
შექმნილი ობლიგაციები	3,474	3,165
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,618	1,626
	3,975	5,557
მაღალი რისკი		
მოთხოვნა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	2,801	2,814
სულ საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება	<u>71,808</u>	<u>67,975</u>

დაბალი რისკი - მსესხებელს აქვს ძლიერი უნარი მოკლევადიან პერიოდში დააკმაყოფილოს მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები, ხოლო ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს უარყოფით ცვლილებებს გრძელვადიან პერიოდში სავარაუდოდ არ ექნება უარყოფითი გავლენა მსესხებლის უნარზე დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების ვალდებულებები.

მაღალი რისკი - კონტრაქტებს, უახლოეს პერიოდში, აქვთ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებების დაკმაყოფილების სუსტი უნარი, და სავარაუდოა, რომ უარყოფითი ცვლილებები ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოში, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეამცირებს კონტრაქტების უნარს დააკმაყოფილონ მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და საბანკო ნაშთები ძირითადად ინახება ქართულ ბანკებში მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას. ყველა ნაშთი კლასიფიცირებულია 1-ელ დონეში. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საბანკო ანაბრებისთვის 390 ათას ლარს შეადგენს (2022: 380 ათასი ლარი)

3,474 ათასი ლარის ოდენობით სასესხო მოთხოვნები (2022 წლის 31 დეკემბერი: 3,165 ათასი ლარი) არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. ხელმძღვანელობა კონტრაქტის საკრედიტო რისკს B დეფოლტ რეიტინგით აფასებს. ყველა ნაშთი 1-ელ დონეზე არის კლასიფიცირებული. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სასესხო მოთხოვნებისთვის ფასდება როგორც არა-არსებითი.

1,618 ათასი ლარის ოდენობით შეძენილი ობლიგაციები (2022 წლის 31 დეკემბერი: 1,626 ათასი ლარი) არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. ობლიგაციები შესყიდულია საქართველოს ბანკისგან გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით BB (Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით). ყველა ნაშთი კლასიფიცირებულია 1-ელ დონეში. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეძენილი ობლიგაციებისთვის ფასდება როგორც არა-არსებითი.

18,614 ათასი ლარის ოდენობით ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივი (31 დეკემბერი 2022: 17,549 ათასი ლარი) ძირითადად ფლობილია კარგი რეპუტაციის მქონე გამაზღვევე კომპანიებში მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით BBB, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას. ყველა ნაშთი კლასიფიცირებულია 1-ელ დონეში. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება როგორც არა-არსებითი.

საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნა არის დეფოლტირებული და მე-3 დონეზე კლასიფიცირდება, მიუხედავად იმისა, რომ ის არის სრულად უზრუნველყოფილი გაყიდული ქონების ღირებულებით, რომელიც აღებატება დაუფარავ მოთხოვნას. გადაუხდელობის შემთხვევაში კომპანია უკან დაიბრუნებს გაყიდულ საინვესტიციო ქონებას. კომპანია საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული მოთხოვნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს როგორც არა-არსებითს 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

(b) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის გადინება. კომპანიის ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარების შესამცირებლად, შემდეგი პოლიტიკები და პროცედურები გამოიყენება:

- ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკა აფასებს და განსაზღვრავს, თუ რა წარმოადგენს ლიკვიდურობის რისკს კომპანიისთვის. პოლიტიკა რეგულარულად გადაიხედება აქტუალურობაზე, რისკის გარემოს ცვლილების შესაბამისად.
- სახელმძღვანელო მითითებების დადგენა აქტივების განთავსებაზე, პორტფელის ლიმიტის სტრუქტურაზე და აქტივების დაფარვის ვადის სტრუქტურაზე, საკმარისი დაფინანსების უზრუნველსაყოფად სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულებისთვის.

- სარეზერვო დაფინანსების სტრატეგიის შექმნა, რომლებშიც განსაზღვრული იქნება დაფინანსების მინიმალური თანაფარდობა გადაუდებელი ვალდებულებების დასაფარად, ასევე განსაზღვრული იქნება გარემოებები, რომლის დროსაც ეს სტრატეგიები იწყებენ მოქმედებას.

კომპანიის ყველა ფინანსურ და სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები, უნდა იქნეს ანაზღაურებული ან დაკმაყოფილებული საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში.

(c) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება, საბაზრო ფასების ცვლილების გამო.

კომპანიის მხრიდან საბაზრო რისკზე დაქვემდებარების შესამსუბუქებლად, შემუშავებულია პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც აქტივების განაწილების და პორტფელის ლიმიტის სტრუქტურებს ადგენს.

(i) სავალუტო რისკი

„კომპანიის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მუდმივად აწარმოოს გაცვლითი კურსების დინამიკის და უცხოური სავალუტო ბაზრების მონიტორინგი. კომპანიის მიზანს წარმოადგენს სავალუტო პოზიციების დახურვა და იმის უზრუნველყოფა, რომ ღია სავალუტო პოზიციები დარჩეს ლიმიტის ფარგლებში დროის ნებისმიერ მონაკვეთში.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების და სადაზღვევო სახელშეკრულებო აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო სტრუქტურა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2023, აშშ დოლარი ლარი'000	31 დეკემბერი 2023, ევრო ლარი'000	31 დეკემბერი 2022, აშშ დოლარი ლარი'000	31 დეკემბერი 2022, ევრო ლარი'000
ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულების აქტივები	3,531	(11,544)	4,505	(4,158)
სხვა აქტივები	4,426	-	4,446	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	289	199	235	147
სულ აქტივები	8,246	(11,345)	9,186	(4,011)
ვალდებულებები				
დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება	5,710	2,522	8,009	1,988
სულ ვალდებულებები	12,855	680	7,217	653
სულ ვალდებულებები	18,565	3,202	15,226	2,641
წმინდა პოზიცია 31 დეკემბერს	(10,319)	(14,547)	(6,040)	(6,652)

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე (დაბეგვრის შემდგომ) ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა.

	31 დეკემბერი 2023 ლარი'000	31 დეკემბერი 2022 ლარი'000
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში	(877)	(513)
აშშ დოლარის 10%-იანი გაუფასურება ლართან მიმართებაში	877	513
ევროს 10%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში	(1,237)	(565)
ევროს 10%-იანი გაუფასურება ლართან მიმართებაში	1,237	565

(ii) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლადობის რისკი, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის შედეგებზე.

კომპანიას არ გააჩნია მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები. გარდა ამისა, კომპანიის ყველა პროცენტო ინსტრუმენტი არის შედარებით მოკლევადიანი. შესაბამისად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე.

F. კაპიტალის მართვა

(a) კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკები და მიდგომა

კაპიტალის მართვის ძირითადი მიზანია მუდმივად ხორციელდებოდეს კაპიტალის მონიტორინგი და კაპიტალის ისეთი დონის შენარჩუნება, რომელიც „კომპანიის“ წინაშე არსებული რისკების შესაბამისია. „კომპანიის“ კაპიტალის მართვის ძირითადი მიზნებია:

- „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- ვადადამდგარი სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის უზრუნველყოფა და მარეგულირებელი მოთხოვნების გადაჭარბება; და
- „კომპანიის“ სტაბილურობის მოთხოვნილი დონის შენარჩუნება პოლისის მფლობელების უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

„კომპანიის“ ინტერესებში შედის კაპიტალის ადეკვატური რესურსების უზრუნველყოფა ნებისმიერ დროს და შესაბამისი მინიმალური მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნების შესრულება. „კომპანიას“ ტრადიციულად გააჩნია კაპიტალის ძალიან კარგი რესურსი. აღნიშნული კარგი კაპიტალის ბაზის შენარჩუნება ასევე მნიშვნელოვანია „კომპანიის“ მომავალი მიზნებისთვის, რათა გაზარდოს მომგებიანობა და უზრუნველყოფილ იქნას დიდი ზარალის მოვლენების გავლენის შემსუბუქება.

კაპიტალის მონიტორინგის და მართვის პროცესის ნაწილის სახით კომპანია მის „აქტივების მართვის გეგმას“ იყენებს, რომელიც ორიენტირებულია იმაზე, რომ კომპანიაში მუდმივად იყოს წამყვან ქართულ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრების მინიმალური დონე. აქტივების სტრუქტურის კონტროლი ხორციელდება დამფუძნებლებისთვის მომზადებული და გაგზავნილი ყოველთვიური ანგარიშებით, რომელიც შეიცავს „კომპანიის“ ფინანსური დირექტორის მიერ შესამოწმებელ შესაბამის გამოთვლებს.

(ბ) მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოში სადაზღვევო სექტორი რეგულირდება „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ. „ზედამხედველობის სამსახური“ სადაზღვევო კომპანიებს უწესებს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნების მიზანია სადაზღვევო კომპანიებმა უზრუნველყონ საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჯა.

„კომპანია“ ახორციელებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული კაპიტალის კორექტირებას, რათა მოხდეს საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება.

კომპანია მის კაპიტალის მოთხოვნებს მართავს, აღრიცხულ და მოთხოვნილ კაპიტალის დონეებს შორის შეუსაბამობების თავიდან აცილების გზით. იმისათვის, რომ „კომპანია“ შეინარჩუნოს ან შეცვალოს კაპიტალის სტრუქტურა, შესაძლებელია მოხდეს გადახდილი დივიდენდების ცვლილება ან კაპიტალის გაზრდა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, „კომპანია“ სრულ შესაბამისობაში იყო ISSS-ის მიერ კაპიტალის გარედან დადგენილ მოთხოვნებთან და წინა წელთან შედარებით არ ჰქონია ადგილი კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის, მიდგომების და პროცესების ცვლილებას.

2016 წლის 16 სექტემბერს, ზედამხედველობის სამსახურმა გამოსცა ბრძანება №15 და №16 გადახდისუნარიანობის მარჟის და საზედამხედველო კაპიტალის განსაზღვრის შესახებ, შესაბამისად. კანონები ასევე არეგულირებს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ ოდენობას, გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობისგან განსხვავებით. იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წელი წარმოადგენდა გარდამავალ პერიოდს ზემოთ ხსენებული რეგულაციების დასაკმაყოფილებლად, მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადები განისაზღვრა შემდეგნაირად:

- საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობაზე მეტი ან უნდა შეადგენდეს 7,200 ლარს 2021 წლის 31 დეკემბრიდან პერიოდის განმავლობაში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანია“ აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის დონის მოთხოვნებს.

NOTE 20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები

სახელი	გარიგება	დაუფარავი ნაშთი
	2020*000 ლარი	31 დეკემბერი 2023 '000 ლარი
შვილობილი კომპანიები		
გადახდილი სადაზღვევო შემთხვევები		
გაცემული სესხები*	(7,217)	318
საპროცენტო შემოსავალი	-	3,474
იგივე ჯგუფის წევრი	296	-
სადაზღვევო პროგრამული უზრუნველყოფა		
ფლობილი გადახდისუნარიანობის ხელშეკრულების აქტივები	5,681	160
		6,980

სახელი	გარიგება	დაუფარავი ნაშთი
	2022 '000 ლარი	31 დეკემბერი 2022 '000 ლარი
შვილობილი კომპანია		
გადახდილი სადაზღვევო შემთხვევები		
გაცემული სესხები*	(7,609)	684
საპროცენტო შემოსავალი	-	3,165
იგივე ჯგუფის წევრი	179	-
სადაზღვევო პროგრამული უზრუნველყოფა		
ფლობილი გადახდისუნარიანობის ხელშეკრულების აქტივები	(550)	171
		6,254

* დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები დენომინირებულია ლარში და მათი საპროცენტო განაკვეთი არის 10-13%, დაფარვის ვადით 2023 და 2022 წლები.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

კომპანიის 5 დირექტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის იყო შემდეგი:

	2023 ლარი'000	2022 ლარი'000
ხელფასები	1,236	1,281
ბონუსები	718	753
სხვა სარგებელი	5	5
სულ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	<u>1,959</u>	<u>2,039</u>

NOTE 21. პირობითი ვალდებულებები

A. სასამართლო დავები

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობისას კომპანია მონაწილეობს სასამართლო დავებში, რომლებიც ძირითადად უკავშირდება ზარალებს და რეგრესის გადახდებს.

საანგარიშგებო თარიღისთვის არ მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სასამართლო დავა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

B. პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

NOTE 22. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა ძირითადი საშუალებების, მიწისა და შენობების ჯგუფისა, რომელიც აღირიცხება გადაფასებული ოდენობით. გარდა ამისა, სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებები ფასდება სავარაუდო „გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადებით“, რომლებიც მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება მაშინ, როდესაც კომპანია შესრულებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს ფასს 17-ის შესაბამისად.

NOTE 23. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

ამასთანავე, 2023 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ მიიღო „სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები“ (ბასს 1-ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის კორექტირებები). კორექტირებები მოითხოვს „არსებითი“ და არა „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენას. მიუხედავად იმისა, რომ კორექტირებებს არ მოჰყოლია რაიმე ცვლილება თვითონ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკებში, მათ გავლენა მოახდინეს გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ ინფორმაციაზე.

A. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

შვილობილი კომპანიები კომპანიის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს წარმოადგენს. კომპანია აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღრიცხულია თვითღირებულებით კონტროლის ფაქტობრივი დაწყების თარიღიდან მისი ფაქტობრივი შეწყვეტის თარიღამდე.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აღრიცხება მათი თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

B. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

C. სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფასს 17 ანაცვლებს ფასს 15 „სადაზღვევო ხელშეკრულებებს“ 2023 წლის 1 იანვრისთვის ან მას შემდეგ წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას გადაანგარიშებული აქვს 2022 წლის შესადარისი ინფორმაცია, სრული რეტროსპექტული გადასვლის მიდგომის გამოყენებით, რომელსაც აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს. ფასს 17 ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებების, გადაზღვევის ხელშეკრულებების და საინვესტიციო ხელშეკრულებების (დისკრეციული მონაწილეობის პირობებით) აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტების პრინციპებს. ფასს 17-ს შემოაქვს ხელშეკრულებების ჯგუფების შეფასების მოდელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების ჯგუფისეულ შეფასებაზე დაყრდნობით, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია ჯგუფის მიერ ხელშეკრულებების დაკმაყოფილებისთანავე, კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე და სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა.

ფასს 17-ის მიხედვით, „სადაზღვევო ამონაგები“ თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში, დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებების ცვლილებებს ასახავს, რომლებიც უკავშირდება მომსახურებას, რომლისთვისაც ჯგუფი მოელის ანაზღაურების მიღებას და იმ პრემიის განაწილებას, რომელიც დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ანაზღაურებას უკავშირდება. ამასთანავე, საინვესტიციო კომპონენტები აღარ არის შეტანილი სადაზღვევო ამონაგებში და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებში.

ხელშეკრულებების შეფასების გამარტივებისთვის კომპანია „პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას“ იყენებს. დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებების შეფასებისას, „პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა“ კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვის წინა მეთოდის მსგავსია. თუმცა, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეფასებისას, ჯგუფი ამჟამად ადისკონტირებს მომავალ ფულად ნაკადებს და ითვალისწინებს კორექტირებას არაფინანსური რისკის საფუძველზე.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების ხასიათი შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს

(i) ხელშეკრულებების კლასიფიკაცია

კომპანია გასცემს სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომლებიც სადაზღვევო რისკს გადასცემს. სადაზღვევო ხელშეკრულებები არის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც „კომპანია“ იღებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს სხვა მხარისგან („დაზღვეული“), იმის შესახებ, რომ ის აუნაზღაურებს მას ან სხვა მოსარგებლეს ზარალს განსაზღვრულ გაურკვეველ სამომავლო შემთხვევებში („სადაზღვევო შემთხვევა“), რომელიც უარყოფითად მოქმედებს დაზღვეულზე ან სხვა მოსარგებლეზე, კლასიფიცირდება როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებები.

კომპანია გასცემს არასიცოცხლის დაზღვევას ფიზიკურ პირებსა და კომპანიებზე. შემოთავაზებული არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტები მოიცავს სამედიცინო, ქონების, საავტომობილო, ვალდებულების და სხვათა დაზღვევას. აღნიშნული პროდუქტები სთავაზობს დაზღვეულს მისი აქტივების დაცვას და სხვა მხარეების ანაზღაურებას, რომელთაც ზიანი მიადგათ დაზღვეულის ქმედებების შედეგად.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები სადაზღვევო ხელშეკრულებების სახით აღირიცხება. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული დეპოზიტები აღირიცხება „დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების“ ფარგლებში მოგებაზე ან ზარალზე გავლენის გარეშე.

(ii) აგრეგირების დონე

სადაზღვევო ხელშეკრულებები აგრეგირებულია ჯგუფებად შეფასების მიზნებისთვის. სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფები განისაზღვრება სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელების განსაზღვრით, რომელთაგან თითოეული მოიცავს ხელშეკრულებებს, რომლებიც ექვემდებარებიან მსგავს რისკებს და იმართებიან ერთად და თითოეული პორტფელის წლიურ ჯგუფებად დაყოფის გზით (მაგ. გამოშვების წლის მიხედვით). კომპანია განსაზღვრავს პორტფელს სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებების ბიზნეს მიმართულებების მიხედვით, რადგან როგორც წესი, კომპანიის მიერ გაცემულ ყველა სადაზღვევო ხელშეკრულებას მსგავსი რისკები და მახასიათებლები ახასიათებს.

(iii) ხელშეკრულებების აღიარება და შეფასება

კომპანია აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებულია შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრე:

- ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი.
- თარიღი, როდესაც დაზღვეულმა უნდა განახორციელოს პირველი გადახდა. თუ არ არსებობს გადახდის სახელშეკრულებო ვადა, მაშინ აღნიშნულად ჩაითვლება დაზღვეულისგან პირველი გადახდის მიღების თარიღი.

კომპანია აღიარებს ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომლებიც გაფორმებულია შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრე:

- იმ გადაზღვევის ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც პროპორციულ სადაზღვევო დაფარვას უზრუნველყოფენ, შემდეგ თარიღებიდან ყველაზე გვიანის მიხედვით:

- (ა) გადაზღვევის ხელშეკრულებების სადაზღვევო დაფარვის პერიოდის დასაწყისი და
- (ბ) ნებისმიერი საბაზისო ხელშეკრულების თავდაპირველი აღიარებისას.

ხელშეკრულებების შეფასება მოიცავს ყველა მომავალ ფულად ნაკადებს თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში.

სადაზღვევო ხელშეკრულება

ფულადი ნაკადები სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს განეკუთვნება, თუ ისინი წარმოიშობა იმ საანგარიშგებო პერიოდში არსებული რეალური უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლის განმავლობაშიც საწარმოს შეუძლია პოლისის მფლობელს დაავალდებულოს პრემიების გადახდა, ან საწარმოს აქვს რეალური ვალდებულება, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გაუწიოს პოლისის მფლობელს.

A. მომსახურების გაწევის არსებითი ვალდებულება სრულდება მაშინ, როდესაც:

- a. საწარმოს აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ ხელახლა შეაფასოს ამა თუ იმ კონკრეტულ პოლისის მფლობელთან დაკავშირებული რისკები და, ამის შედეგად, შეუძლია ფასის ან სარგებლის ისეთი დონის დადგენა, რომელიც სრულად ასახავს ამ რისკებს; ან
- b. ორივე ქვემოთ მითითებული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია:

- საწარმოს აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ ხელახლა შეაფასოს იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელთან დაკავშირებული რისკები, რომელსაც განეკუთვნება მოცემული ხელშეკრულება და, ამის შედეგად, შეუძლია ფასის ან სარგებლის ისეთი დონის დადგენა, რომელიც სრულად ასახავს ამ პორტფელთან დაკავშირებულ რისკს; და
- რისკების ხელახლა შეფასების თარიღამდე პრემიების დონეში გათვალისწინებული არ იყო ამ შეფასების თარიღის შემდგომ პერიოდებთან დაკავშირებული რისკები.

გადაზღვევის ხელშეკრულებები:

ფულადი ნაკადები სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებშია, თუ ისინი წარმოიშობა იმ საანგარიშგებო პერიოდში არსებული რეალური უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლის განმავლობაშიც საწარმო ვალდებულია გადაუხადოს გადამზღვეველს გარკვეული თანხები ან აქვს რეალური უფლება მიიღოს მომსახურება გადამზღვეველისგან. გადამზღვეველისგან მომსახურების მიღების რეალური უფლება სრულდება მაშინ, როდესაც გადამზღვეველს:

- აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ ხელახლა შეაფასოს მისთვის გადაცემული რისკები და, ამის შედეგად, შეუძლია ფასის ან სარგებლის ისეთი დონის დადგენა, რომელიც სრულად ასახავს ამ რისკებს; ან
- აქვს სადაზღვევო დაფარვის შეწყვეტის რეალური უფლება.

ხელშეკრულების ფარგლები ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

შეფასება

„პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა“ („PAA“), წარმოადგენს გამარტივებულ შეფასების მოდელს ფასს 17-ის ფარგლებში და კომპანიის პორტფელის შესაფასებლად გამოიყენება. კომპანია, გონივრულ ფარგლებში, მოელის, რომ „პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომის“ გამოყენება „დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების“ ისეთ შეფასებას უზრუნველყოფს კომპანიისთვის, რომელიც არსებითად არ განსხვავდება „ზოგადი შეფასების მოდელის“ მოთხოვნების გამოყენების შემთხვევაში მიღებული შეფასებისგან.

პორტფელის 98%-ზე მეტისთვის, თითოეული ხელშეკრულების სადაზღვევო პერიოდი არის ერთი წელი ან ნაკლები (2022: 98%).

„პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა“ („PAA“), წარმოადგენს გამარტივებულ შეფასების მოდელს ფასს 17-ის ფარგლებში და კომპანიის მიერ ფლობილი გადაზღვევის აქტივების შესაფასებლად გამოიყენება (რადგან მათ ახასიათებთ იგივე თვისებები, რაც საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებებს).

იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების თითოეული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას, რომლებიც არ არის წაგებიანი, „დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების“ („LRC“) საბალანსო ღირებულება ფასდება თავდაპირველი აღიარებისას მიღებული პრემიებით, გამოკლებული ნებისმიერი „დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები“ აღნიშნული თარიღისთვის, მათ შორის ნებისმიერი ოდენობა, რომელიც აღნიშნულ თარიღამდე გადახდილი „დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადებისთვის“ აღიარებული ნებისმიერი აქტივის აღნიშნული თარიღისთვის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოიშვება, დამატებული ან გამოკლებული ჯგუფთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისთვის ადრე აღიარებული ნებისმიერი სხვა აქტივები ან ვალდებულებები.

თავდაპირველი აღიარებისას ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისთვის, კომპანია დარჩენილ სადაზღვევო დაფარვას გადახდილი გადაზღვევის პრემიების ოდენობით აფასებს.

შემდგომი შეფასება „PAA“-ს მიხედვით:

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის საბალანსო ღირებულება უნდა წარმოადგენდეს შემდეგი სიდიდეების ჯამს:

- დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება; და
- დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება, რომელიც მოიცავს გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებულ, გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის მიკუთვნებულია მოცემულ ჯგუფზე.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის საბალანსო ღირებულება უნდა წარმოადგენდეს შემდეგი სიდიდეების ჯამს:

- დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივი, რომელიც მოიცავს გადასახდელ სადაზღვევო პრემიებს და მისაღებ გადაზღვევის საკომისიოს; და
- დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი აქტივი, რომელიც მოიცავს გასული პერიოდების მომსახურებასთან დაკავშირებულ, გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის მიკუთვნებულია მოცემულ ჯგუფზე და მოსალოდნელია მათი ანაზღაურება გადამზღვეველებისგან.

კომპანია „დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებას“ აფასებს, როგორც დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებთან დაკავშირებულ „გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს“. „გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები“ მოიცავს მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებებს, კორექტირებას, რომელიც ასახავს ფულის დროით ღირებულებას და მომავალ ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ ფინანსურ რისკებს, თუ ეს ფინანსური რისკები გათვალისწინებული არ არის მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებებში და ასევე, კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე.

კომპანიის მიზანი მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას არის ისეთი სცენარების მოსალოდნელი ღირებულების განსაზღვრა, რომლებიც ასახავს შესაძლო შედეგების მთელ დიაპაზონს. თითოეული სცენარის ფულადი ნაკადები დისკონტირდება და მოხდება მათი შეწონვა ამგვარი შედეგის რეალიზების ალბათობით, მოსალოდნელი მიმდინარე ღირებულების მისაღებად. ისეთი დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და სადაზღვევო ხელშეკრულებების ლიკვიდურობის მახასიათებლებს მნიშვნელოვან განსჯასა და შეფასებას მოითხოვს.

ზოგიერთი სადაზღვევო ხელშეკრულება უფლებას აძლევს კომპანიას გაყიდოს (როგორც წესი, დაზიანებული) სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების შედეგად მიღებული აქტივი (მაგალითად, სასარგებლო ნარჩენების რეალიზაცია). კომპანიას ასევე შეიძლება ჰქონდეს უფლება მესამე მხარეს ზოგიერთი ან ყველა ხარჯის გადახდა მოსთხოვოს (მაგალითად, სუბროგაცია).

სასარგებლო ნარჩენების რეალიზაციის და სუბროგაციის ანაზღაურებების შეფასებები გათვალისწინებულია, როგორც დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეფასების მომავალი ფულადი ნაკადების გადინებების შემცირება. რეზერვი არის ოდენობა რომელიც შეიძლება გონივრულ ფარგლებში იქნეს ანაზღაურებული აქტივისგან.

წაგებიანი ხელშეკრულებების შეფასება:

თუ სადაზღვევო პერიოდში ნებისმიერ დროს, ფაქტები და გარემოებები მიანიშნებს, იმაზე, რომ ხელშეკრულებების ჯგუფი არის წაგებიანი, მაშინ კომპანიამ უნდა აღიაროს ზარალი სადაზღვევო მომსახურების ხარჯებში და გაზარდოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც „გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების“ მიმდინარე შეფასებები (განსაზღვრული „ზოგადი შეფასების მოდელის“ მიხედვით), რომლებიც დარჩენილ სადაზღვევო პერიოდს უკავშირდება (მათ შორის „კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე“), აჭარბებს მომავალ ამონაგებთან დაკავშირებული „გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების“ შეფასებებს. საწარმომ უნდა დაადგინოს ზარალის კომპონენტი, აღიარებული ზარალის ოდენობით. შემდგომ, ზარალის კომპონენტი ხელახლა შეფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, როგორც სხვაობა მომავალ მომსახურებასთან დაკავშირებული ზოგადი შეფასების მოდელის მიხედვით განსაზღვრული გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ოდენობებსა და მომავალ ამონაგებთან დაკავშირებული „გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს“ შორის. წაგებიანი ხელშეკრულების შეფასება ხორციელდება კვარტალურად ჯგუფის დონეზე.

თუ კომპანია აღიარებს ზარალს საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების წაგებიანი ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას, ან როდესაც დამატებითი წაგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებები არის დამატებული ჯგუფში, კომპანიამ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფისთვის დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივისთვის უნდა განსაზღვროს ზარალის კომპენსაციის კომპონენტი, რაც ზარალების კომპენსაციას ასახავს. კომპანია „ზარალის კომპენსაციის კომპონენტს“ ითვლის საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის იმ საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების სადაზღვევო შემთხვევების პროცენტულობაზე გადამრავლებით, რომელთა ანაზღაურებასაც კომპანია მოელის ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფიდან. ზარალის კომპენსაციის კომპონენტი დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისთვის აქტივის საბალანსო ღირებულებას აკორექტირებს.

i. აღიარების შეწყვეტა და ხელშეკრულების მოდიფიკაცია

საწარმო წყვეტს სადაზღვევო ხელშეკრულების აღიარებას იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება შეწყდება ე.ი. როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას ვადა გაუვა, დაიფარება ან გაუქმდება. კომპანია ასევე წყვეტს ხელშეკრულების აღიარებას თუ მისი პირობები მოდიფიცირებულია იმგვარად, რომ არსებითად შეიცვლებოდა ხელშეკრულების აღრიცხვა ახალი პირობების მანამდე არსებობის შემთხვევაში, რა შემთხვევაშიც აღიარდება ახალი, მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ხელშეკრულება. თუ ხელშეკრულების მოდიფიცირება არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, მაშინ კომპანია მოდიფიცირებით გამოწვეულ ცვლილებებს ფულად ნაკადებში განიხილავს როგორც „გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების“ შეფასებების ცვლილებას.

ii. აკვიზიციის და მიკუთვნებადი ხარჯი

დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები წარმოადგენს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შეძენილი ხელშეკრულებების გაყიდვასა და მართვას. კომპანია ანდერაიტინგის დეპარტამენტის ხარჯებს, გაყიდვების დეპარტამენტის ხარჯებსა და საკომისიო ხარჯებს აკვიზიციის ხარჯებად განიხილავს. კომპანიას აქვს დანერგილი პირდაპირი და არაპირდაპირი კოეფიციენტების მიხედვით ხარჯების განაწილების ტექნიკა. როგორც აკვიზიციის ასევე მიკუთვნებადი ხარჯები ხვდება „სადაზღვევო მომსახურების ხარჯების“ კატეგორიაში, ხოლო არა-მიკუთვნებადი ხარჯები აღირიცხება „სხვა საოპერაციო ხარჯებში“ და არ არის განაწილებული ხელშეკრულებების ჯგუფებზე.

iii. წარდგენა

სადაზღვევო ამონაგები:

PAA-ს მიხედვით შეფასებული ხელშეკრულებებისთვის, სადაზღვევო ამონაგები თითოეული პერიოდისთვის წარმოადგენს პერიოდის განმავლობაში მომსახურების გაწევისთვის პრემიების იმ ოდენობას, რომლის მიღებაც არის მოსალოდნელი. კომპანია ანაწილებს პრემიების იმ ოდენობას, რომლის მიღებაც არის მოსალოდნელი, თითოეულ პერიოდზე დროის გასვლასთან ერთად.

სადაზღვევო მომსახურების ხარჯები:

სადაზღვევო მომსახურების ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- a. პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები.
- b. სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი გაწეული ხარჯები.
- c. დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები.
- d. წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - „დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილ ვალდებულებასთან“ დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილებები;
- e. მომავალ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები - მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილებები, რომლებიც წაგებიანი ხელშეკრულებების ზარალებს ან აღნიშნული ზარალების ანაზღაურებას იწვევს.

წმინდა ხარჯები გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან:

გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებული წმინდა ხარჯები მოიცავს გადაზღვევის ხარჯებს გამოკლებული გადამზღვეველებისგან ანაზღაურებული ოდენობები. კომპანია აღიარებს გადაზღვევის ხარჯებს გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფის ფარგლებში დაფარვის ან სხვა მომსახურების მიღებასთან ერთად. PAA-ს მიხედვით შეფასებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანია აღიარებს გადაზღვევის ხარჯებს დროის განმავლობაში, ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი ან ხარჯები წარმოდგენილია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯებისგან განცალკევებით. გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი და ხარჯები (სადაზღვევო ფინანსური შემოსავლისა და ხარჯების გარდა) წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც „გადაზღვევის ხელშეკრულებების წმინდა ხარჯები“ სადაზღვევო მომსახურების შედეგის მუხლში.

D. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთებს და ვადიან ანაბრებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არაარსებობს.

E. ფინანსური ინსტრუმენტები

აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები და გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების თარიღისთვის, როდესაც „კომპანია“ ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, დამატებული (თუ აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული) გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შესყიდვასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(i) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, თავდაპირველი აღიარებისას კომპანიას აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ინვესტიციის სამართლიან ღირებულებაში განხორციელებული შემდგომი ცვლილებები. არჩევანი კეთდება კონკრეტული ინვესტიციების მიხედვით.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. აღნიშნული მოიცავს ყველა წარმოებულ ფინანსური აქტივს. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასების კრიტერიუმებს, შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ამ მნიშვნელოვნად ამცირებს საადრიცხო შეუსაბამობებს, რომლებიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

(i) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელმწიფოებრივ ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. “კომპანია” ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების გადაცემის და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება

F. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, რომლებიც არ კვალიფიცირდება საინვესტიციო ქონებად, წარდგენილია თვითღირებულებით (გარდა მიწისა და შენობების კლასის, რომელიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით), რომელშიც არ არის შეტანილი ყოველდღიური შეკეთებისა და მოვლის ხარჯები და რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების თანხებით. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თავდაპირველი თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოყვანას. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მანძილზე:

- შენობა-ნაგებობები 25-50 წლამდე
- კომპიუტერები და დაკავშირებული აღჭურვილობა 3-5 წლამდე
- სატრანსპორტო საშუალებები 2-7 წლამდე
- საოფისე ავეჯი და აღჭურვილობა 7-10 წლამდე

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარება წყდება მისი გაყიდვისთანავე ან როცა მისი გამოყენების შედეგად მომავალი ეკონომიური სარგებელის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი შეტანილია იმ წლის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები, როგორც არის შეკეთების და შენახვის ხარჯები, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევისთანავე.

გ. გაუფასურება

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ზარალის რეზერვებს აღიარებს:

– ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე;

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებული.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევების შედეგად (ან უფრო მოკლე პერიოდში თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალები ანგარიშდება, როგორც ყველა ფულადი დანაკლისის (სხვაობა ხელშეკრულების მიხედვით კომპანიის მიერ მისაღებ ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის „კომპანია“) მიმდინარე ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს გაუფასურდა თუ არა საკრედიტო რისკით ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად, დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა და იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის, „კომპანიას“ აქვს განსაზღვრული ბრუტო საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკა, როდესაც ფინანსური აქტივი არის 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული, მსგავსი აქტივების ამოღების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. კორპორატიული მომხმარებლების შემთხვევაში „კომპანია“ ახორციელებს ვადებისა და ჩამოწერის ოდენობების ინდივიდუალურ შეფასებას, იმის გათვალისწინებით არსებობს თუ არა აქტივის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერილი თანხებიდან კომპანია არ ელოდება მნიშვნელოვან აღდგენას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს სააღსრულებლო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ მოვიდეს კომპანიის თანხების ამოღების პროცედურებთან შესაბამისობაში.

H. დაბეგვრა

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის. მიმდინარე გადასახადის ხარჯი ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე; ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი სხვაობებისთვის არის გამოჩნული (ფინანსური ანგარიშგებისა და დაბეგვრის მიზნებისთვის გამოყენებული ოდენობებისთვის). შემდეგი სახის დროებითი სხვაობები არ წარმოიშვება: საგადასახადო მიზნებისათვის არა-გამოქვითვადი გუდვილის შემთხვევაში, აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას არ ახდენენ არც დასაბეგრ და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდებიან ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში და მეკავშირე კომპანიებში, სადაც მშობელ კომპანიას შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის აღდგენის ვადები და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა ახლო მომავალში არ აღდგება. გადავადებული გადასახადის ოდენობა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების გაყიდვას ან დაფარვას 2024 წლის 1 იანვრამდე, საანგარიშგებო თარიღისთვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოსალოდნელია, რომ მომავალი დაბეგვრადი მოგებები იქნება ხელმისაწვდომი 2024 წლის 1 იანვრამდე, რის საპირწონედაც შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალების და კრედიტების გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივების გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის და მცირდება ისეთ დონემდე, როდესაც უკვე აღარ არის სავარაუდო, რომ დაკავშირებული საგადასახადო სარგებელი იქნება რეალიზებული.

ზემოაღნიშნული ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, 2024 წლის 1 იანვრის შემდგომ, საქართველოში რეგისტრირებულ საფინანსო დაწესებულებებს არ ექნებათ განსხვავებები აქტივების საგადასახადო საფუძვლებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შედეგად არ წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

I. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები, მოსაკრებლები და საკომისიო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში მათი დარიცხვისთანავე, აქტივის ან ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი მოიცავს ნებისმიერი დისკონტირების, პრემიის ან პროცენტთან ინსტრუმენტის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და დაფარვის ვადის დადგომისას მის ღირებულებას (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საშუალებით გამოთვლილი) შორის სხვა სხვაობებს.

სესხის ორგანიზების, მომსახურების, და სხვა ხარჯები, რომლებიც მიიჩნევა სესხის მთლიანი მომგებიანობის განუყოფელ ნაწილად, დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად, გადავადდება და ამორტიზირდება საპროცენტო შემოსავალზე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სხვა მოსაკრებლები და საკომისიო შემოსავალი აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

NOTE 24. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შედის ძალაში (აღრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ახალი და შესწორებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები).
- საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ფასს 16-ის შესწორებები);
- აქტივების გაყიდვა ან შენატანი ინვესტორსა და მის მკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის (ფასს 10 ისა და ბასს 28-ის შესწორებები).